ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის”
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 01 აგვისტოს
№ 01-03/03 ოქმის
N04 დანართი

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოების წესი

2022

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა 1

მუხლი 3. უნივერსიტეტის პერსონალის მოვალეობები 2

მუხლი 4. უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელთა ვალდებულებები 2

მუხლი 5. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების კოორდინირებულად მოქმედების პრინციპები 3

მუხლი 6. პირველადი სამედიცინო დახმარება 3

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი 3

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა 4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის" (შემდეგში - „ავიცენა" ან „უნივერსიტეტი") სახანძრო უსაფრთხოების წესი (შემდეგში - „წესი") შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა" და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა საფუძველზე.

1.2. წინამდებარე წესი ვრცელდება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე და სავალდებულოა შესასრულებლად უნივერსიტეტის პერსონალისათვის, სტუდენტებისა და იმ ვიზიტორებისათვის, რომელთა საქმიანობაც ვრცელდება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე/სივრცეში.

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

2.1. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვასა და შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით.

2.2. სახანძრო უსაფრთხოების მონიტორინგს ახორციელებს და წინამდებარე წესით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების, დაცვისა და სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი.

2.3. უნივერსიტეტი აღჭურვილია მოქმედი ტექნიკური რეგულაციების შესაბამისად ყველა სისტემითა და საინფორმაციო საშუალებებით (სახანძრო ევაკუაციის გეგმა, გააჩნია სახანძრო კიბე, დამონტაჟებულია ხმოვანი შეტყობინების სისტემა, ხანძრის დეტექტორი, ცეცხლის ჩაქრობის ავტომატური სისტემა), სტანდარტების შესაბამისად განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა სტანდარტული ცეცხლმაქრებით).

2.4. უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

2.5. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ტექნიკური გამართულობის მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ინიშნება პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებები და უფლებამოსილებები გამომდინარეობს წინამდებარე წესიდან და დეტალურად აღიწერება რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციაში.

2.6. სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს.

2.7. სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და ფაქტიური რისკების პერიოდში კოორდინირებულად მოქმედების მიზნით, წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტის მთელ პერსონალს უტარდება ინსტრუქტაჟი და სიმულაციური ტრენინგი.

2.8. სამუშაო დროის დასრულების შემდეგ და უქმე დღეებში უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები ახორციელებენ ინტენსიურ მონიტორინგს ხანძრის რისკების არიდების მიზნით.

მუხლი 3. უნივერსიტეტის პერსონალის მოვალეობები

3.1. უნივერსიტეტის ყველა დასაქმებული ვალდებულია:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთოს ელექტრო სისტემაზე დაერთებული მოწყობილობები;

გ) ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დროს დაიცვას უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი ნივთიერებებისა და მასალების გამოყენებისას;

დ) იცოდეს სახანძრო უსაფრთხოების ევაკუაციის გეგმა, ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები;

ე) ხანძრის პერიოდში ევაკუაციის დროს გეგმის შესაბამისად ისარგებლოს მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების კიბით;

3.2. უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება:

ა) თამბაქოს მოწევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) უნივერსიტეტში ღია ცეცხლის გამოყენება;

გ) შენობაში ადვილად აალებადი ნივთიერებების დაყრა;

დ) გაუმართავი და არაქარხნული დამზადების ელექტრო მოწყობილობების გამოყენება;

ე) ხანძრის პერიოდში ევაკუაციის დროს ლიფტით სარგებლობა.

მუხლი 4. უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელთა ვალდებულებები

4.1. დაცვის ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

ა) იცოდეს უნივერსიტეტის ელექტრო ენერგიის მიწოდების სისტემა და მისი მართვა;

ბ) იცოდეს უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოების სისტემა და შეეძლოს მისი მართვა რისკებისა და საჭიროების შემთხვევაში;

გ) ხანძრის პირობებში დაცვის თანამშრომელთა ქმედებები მიმართული უნდა იყოს ადამიანთა უსაფრთხოებაზე, მოახდინოს მოქმედი წესების შესაბამისად მათი გადაადგილების კოორდინირება;

დ) დაუყოვნებლივ გამოიძახოს სახანძრო-სამაშველო სამსახური, ხოლო მდგომარეობის შესახებ ასევე შეატყობინოს სამსახურის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტის რექტორს;

ე) შესაძლებლობების ფარგლებში მოახდინოს ხანძრის ჩაქრობის პირველადი ოპერაციები;

ვ) სახანძრო-სამაშველო ბრიგადას ადგილზე გამოცხადების დროს გააცნოს არსებული რეალური ვითარება, აგრეთვე შენობის კონსტრუქციის, შენობაში არსებული რისკის შემცველი ნივთიერებებისა და მასალების შესახებ.

მუხლი 5. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების კოორდინირებულად მოქმედების პრინციპები

5.1. ხანძრის ან მისი პირველადი ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის ან სხვა) აღმოჩენის შემთხვევაში თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სწავლება/სამუშაო და დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტის დაცვის ფუნქციის განმახორციელებელ პირს ან/და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია ვითარების შეფასებაზე და შესაძლო რისკებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახებაზე (ნომერზე ,,112”).

ბ) შესაძლებლობების ფარგლებში ჩაერთოს თავის სივრცეში არსებულ ადამიანთა ევაკუაციაში;

გ) მონაწილეობა მიიღოს ცეცხლის ჩაქრობაში;

დ) დენის წყაროდან გათიშოს მასთან დაერთებული მოწყობილობები;

ე) საერთო განკარგულების მიღებისას დატოვოს უნივერსიტეტის შენობა.

მუხლი 6. პირველადი სამედიცინო დახმარება

6.1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტების, პერსონალისა და ვიზიტორებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ოთახი (შემდეგში - სამედიცინო კაბინეტი) და უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების, დაცვისა და სამეურნეო სამსახურში დასაქმებული ექიმი, შესაბამისი სამედიცინო განათლების/კვალიფიკაციის მქონე პირი.

6.2. წინამდებარე წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები, ექიმი და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დასაქმებული თანამშრომლობენ კომპეტენციათა ფარგლებში თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებაზე, საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესის და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი

7.1. უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს უტარდება ინსტრუქტაჟი, რომლის მიზანია სახანძრო უსაფრთხოების წესების, სისტემის, დაცვის საშუალებების დანიშნულების გამოყენების და ევაკუაციის სისტემის გაცნობა-შესწავლა.

7.2. ინსტრუქტაჟი ტარდება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) მიერ, ამავე დებულების მე-2 მუხლის 2.7 პუნქტით განსაზღვრული პერიოდულობით.

7.3. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი მოიცავს:

ა) უნივერსიტეტის შენობის, არსებული სივრცეების, სახანძრო უსაფრთხოების სიტემის, გასასვლელების და დადგენილ მოთხოვნილებათა გაცნობას;

ბ) ხანძრის შემთხვევაში სამოქმედო ვალდებულებებს;

გ) ხანძრის ჩაქრობის სისტემის გამოყენებას;

დ) ევაკუაციის გეგმის შინაარსსა და მოქმედებას ადგილმდებარეობის შესაბამისად;

7.4. ინსტრუქტაჟი ტარდება პერიოდულად, ერთობლივად ყველა პერსონალისა თუ სტუდენტისათვის, რომელიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ერთობლივი.

7.5. ინდივიდუალური ინსტრუქტაჟი უტარდება პირს ან პირთა ჯგუფს - ახლად მიღებულ თანამშრომლებს, სტუდენტებს, დროებით (გარკვეული პერიოდის განმავლობაში) უნივერსიტეტში მყოფ ვიზიტორებსა და სტაჟიორებს.

7.6. ერთობლივი ინსტრუქტაჟი უტარდება ერთდროულად ან დროის უმოკლესი შუალედით უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს.

7.7. ინდივიდუალური და ერთობლივი ინსტრუქტაჟის შესახებ დგება შესაბამისი დოკუმენტი, სადაც აისახება ჩატარების საფუძველი, მიზნობრიობა, მონაწილე კონტიგენტი, ჩატარების ადგილი, შინაარსი, რომელიც წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, ამასთან ინდივიდუალური ინსტრუქტაჟის დროს დამატებით ჩაიწერება პიროვნების სახელი, გვარი, უნივერსიტეტში ყოფნის საფუძველი, პერიოდი, რასაც ადასტურებს პირადი ხელმოწერით.

მუხლი 8. სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

8.1. უნივერსიტეტის ყველა დასაქმებული და სტუდენტი, ასევე მოკლევადიანი პერიოდით მყოფი ვიზიტორი ვალდებულია მკაცრად დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები და დაემორჩილოს შრომის უსაფრთხოების, დაცვისა და სამურნეო სამსახურის ხელმძღვანელის, აგრეთვე დაცვის თანამშრომელთა მითითებებს.

8.2. მოქმედი წესების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართ გამოიყენება უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებები (ჩატარებული დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში).

8.3. ვიზიტორის მიმართ რეალური ვითარების სიმძიმის მიხედვით, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით შესაბამისად გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.